



2025 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვარ-ივლისის
შესრულების

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
აგვისტო

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 15,673.5 მლნ ლარი

78.3%

9 თვის
გეგმის

56.9%

წლიური
გეგმის

გადასახდელები - 15,078.2 მლნ ლარი

73.0%

9 თვის
გეგმის

54.0%



წლიური
გეგმის

ნაშთის ცვლილება
595.3 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო
1,272.7 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
-35.2 მლნ ლარი


შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



გადასახადების სტრუქტურა





ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,560.8 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-ივლისში მიღებული შემოსულობები 15,673.5 მლნ ლარს (წლიური გეგმის 56.9%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,102.8 მლნ ლარით (7.6%-ით) აღემატება.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელებს წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,941.7 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-ივლისში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 15,078.2 მლნ ლარს (წლიური გეგმის 54.0%) შეადგენს, რაც 732.2 მლნ ლარით (5.1%-ით) მეტია წინა წლის 7 თვის მაჩვენებელთან შედარებით.




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 9 თვის გეგმა^[1] განსაზღვრულია 20,013.1 მლნ ლარით, ხოლო 7 თვეში მიღებული შემოსულობები გეგმის 78.3%-ს შეადგენს. შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 9 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (79.8%), არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები მაღალი მაჩვენებლით (89.8%), ხოლო ფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები მნიშვნელოვანი (26.7%-იანი) გადაჭარბებით გამოირჩევა, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (61.8%).


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 9 თვის გეგმა განსაზღვრულია 20,669.1 მლნ ლარის ოდენობით, 7 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი კი გეგმის 73.0%-ს შეადგენს. რაც შეეხება 9 თვის გეგმის შესრულებას გადასახდელების კომპონენტების მიხედვით, 9 თვის გეგმის შესრულების მხრივ, ხარჯებისა და ვალდებულებების კლების კომპონენტები კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 77.2% და 78.0%), ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა (90.0%), ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს დაბალი მაჩვენებელი აქვს (48.1%).

[1] „საქართველოს 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)




გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, 7 თვეში, 1,272.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -35.2 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021-2025 წლების 7 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2025 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,386.2 მლნ ლარი შეადგინა. იანვარი-ივლისში მიღებული შემოსულობების და განეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვება 595.3 მლნ ლარს გაუტოლდა და 2025 წლის 1 აგვისტოსთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,981.5 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2021-2025 წლების 7 თვეში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ივლისის მარჯვენებები

2025 წლის ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 2,333.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც ივნისის მარჯვენებზე 126.3 მლნ ლარით მეტია, ხოლო წინა წლის ივლისის მარჯვენებელს 210.9 მლნ ლარით აღემატება (ძირითადად, შემოსავლების ზრდის გავლენით). რაც შეეხება 2025 წლის ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა 2,336.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც ივნისის მარჯვენებელს 140.0 მლნ ლარით აღემატება, ხოლო 2024 წლის ივლისის მარჯვენებელთან შედარებით 210.7 მლნ ლარით შემცირებულია.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, 2023-2025 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




რაც შეეხება ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების კომპონენტებს:

შემოსავლების სახით 2,043.4 მლნ ლარი მიღებული (შემოსულობების 87.6%), ვალდებულებების აღების შედეგად შემოსული სახსრები 261.5 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მარჯვენებები, შესაბამისად, 11.5 მლნ ლარს და 16.8 მლნ ლარს უტოლდება.


შემოსულობები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



გადასახდელები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც ივლისში მიღებული მთლიანი შემოსულობების 82.1% და შემოსავლების 93.7% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა, ივლისში, გადასახადებიდან 1,915.7 მლნ ლარი მიიღო, ივნისის მაჩვენებელზე 266.6 მლნ ლარით (16.2%-ით) მეტი, რაც ძირითადად, სხვა გადასახადის მნიშვნელოვანმა მატებამ უკავშირდება (აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 202.9 მლნ ლარით და 78.1 მლნ ლარს შეადგენს)^[2]. დანარჩენი გადასახადებიც, გარდა აქციზისა (რომელიც შემცირებულია 43.8 მლნ ლარით, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის კლების გავლენით), ასევე, მომატებულია, კერძოდ: საშემოსავლო გადასახადი გაზრდილია 11.8 მლნ ლარით, მოგების გადასახადი - 49.4 მლნ ლარით, დღგ - 42.9 მლნ ლარით, ხოლო იმპორტის გადასახადი - 3.3 მლნ ლარით.

ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




ხარჯების სახით (რომელიც გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტია და მის 87.5%-ს შეადგენს), ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2,043.6 მლნ ლარი გაიწია, წინა თვის მაჩვენებელზე 199.5 მლნ ლარით მეტი, რაც პროცენტის მუხლით ხარჯების მნიშვნელოვან, 273.6 მლნ ლარით, ზრდას უკავშირდება. ყველა დანარჩენი მუხლით გაწეული ხარჯი კი შემცირებულია, კერძოდ: სუბსიდიები - 28.6 მლნ ლარით, გრანტები - 16.1 მლნ ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 15.2 მლნ ლარით, სხვა ხარჯები - 2.3 მლნ ლარით, ხოლო შრომის ანაზღაურებისა და საქონლისა და მომსახურების ხარჯები შემცირებულია, შესაბამისად, 2.6 მლნ ლარით და 9.2 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2025 წლის ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ -0.2 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -158.9 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ივლისში მიღებული შემოსულობებისა (2,333.2 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (2,336.2 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ნაშთის გამოყენებამ 3.0 მლნ ლარი შეადგინა.

[2] 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის მაჩვენებელი კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2025 წლის იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 15,673.5 მლნ ლარი შეადგინა. შემოსულობების ფორმირება, ძირითადად, შემოსავლებისა და აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის კომპონენტების ხარჯზე განხორციელდა, რომელთა წილობრივი მაჩვენებლებიც შემოსულობების, შესაბამისად, 88.2%-ს და 8.9%-ს უტოლდება. შემოსავლები, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში, 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია (2023 წელს შემოსავლების წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 83.5%-ს შეადგენს, 2024 წელს - 86.7%-ს), ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ნომინალური და წილობრივი მაჩვენებლები კი, პირიქით, შემცირებულია (მისი წილი ჯამურ შემოსულობებში 2023 წელს - 14.4% და 2024 წელს - 10.9%-ია). რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტებს, 2025 წლის იანვარ-ივლისში, აღნიშნული შემოსულობების ჯამური წილი შემოსულობებში მცირეა და 2.9%-ს შეადგენს (2024 წელს 2.4%-ია, ხოლო 2023 წელს - 2.1%).




შემოსავლების სახით, 7 თვეში, 13,824.3 მლნ ლარია მიღებული, 9 თვის გეგმის 79.8% და წლიური გეგმის 59.0%, წინა წლის მაჩვენებელზე 1,189.8 მლნ ლარით (9.4%-ით) მეტი. რაც შეეხება 9 თვის გეგმის შესრულებას შემოსავლების კომპონენტების მიხედვით, გადასახადები კარგი მაჩვენებლით ხასიათდება, გრანტები - მაღალი შესრულებით, სხვა შემოსავლები კი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით გამოირჩევა.

იანვარ-ივლისში მიღებული გადასახადები 12,450.1 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 77.1%-ს და წლიური გეგმის 56.9%-ს შეადგენს. ცალკეული სახის გადასახადის მიხედვით, 9 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 72.2% - 78.7%-ის ფარგლებშია (მ.შ. მოგების გადასახადი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, აღნიშნული გადასახადის 9 თვის გეგმა 200.0 მლნ ლარით არის განსაზღვრული, ფაქტობრივად კი 439.6 მლნ ლარს შეადგენს.

2024 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, გადასახადები 921.2 მლნ ლარით (8.0%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის 13.4%-იან ზრდას, აგრეთვე, დღგ-ის (4.8%-ით) მატებას უკავშირდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 422.6 მლნ ლარით (13.1%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-ივლისში, დღგ-ის სახით, ბიუჯეტში 4,478.8 მლნ ლარი ჩაირიცხა, წინა წელთან შედარებით 205.0 მლნ ლარით (4.8%-ით) მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და განუული მომსახურებიდან დღგ გაზრდილია 77.8 მლნ ლარით, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან - 127.2 მლნ ლარით). აქციზი 2.9%-ით (42.4 მლნ ლარით) შემცირებულია, როგორც ადგილობრივი, ისე, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის, შესაბამისად, 36.1 მლნ ლარით და 6.2 მლნ ლარით კლების გავლენით (მ.შ. იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავალი, 32.0 მლნ ლარით შემცირებულია, იმპორტირებული ბენზინისა და მსუბუქი ავტომობილების დაბეგვრიდან კი, შესაბამისად, 18.4 მლნ ლარით და 14.1 მლნ ლარით გაზრდილი).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2024-2025 წლების 7 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების ფაქტობრივი მაჩვენებელი 136.7 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 94.6%-ს და წლიური გეგმის 68.4%-ს შეადგენს. გრანტების ძირითად ნაწილს (55.0%-ს), 75.2 მლნ ლარის ოდენობით, ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს (9 თვის გეგმის 71.6%), საინვესტიციო გრანტები კი 22.1 მლნ ლარს უტოლდება (9 თვის გეგმის 56.0%). გარდა ამისა, ბიუჯეტში მიღებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტები, 39.4 მლნ ლარის ოდენობით (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე).

სხვა შემოსავლების სახით, 7 თვეში, 1,237.5 მლნ ლარია მიღებული, რაც 9 თვის გეგმას 19.7%-ით აღემატება (წლიური გეგმის 91.7%) და დაკავშირებულია საკუთრებიდან შემოსავლების გადაჭარბებით მიღებასთან (კერძოდ, მაისში, ეროვნული ბანკის მოგებიდან ბიუჯეტში 370.1 მლნ ლარის გადაჭარბებით, 670.1 მლნ ლარის ოდენობით (2-ჯერ მეტი) თანხის ჩარიცხვასთან). გარდა ამისა, მნიშვნელოვანი შემოსავლებია, ასევე, მიღებული პროცენტისა და არაკლასიფიცირებული ტრანსფერების სახით (შესაბამისად, 185.6 მლნ ლარის 172.1 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (204.8 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 89.8%-ს და წლიური გეგმის 68.3%-ს შეადგენს, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 105.4 მლნ ლარით (2-ჯერ) აღემატება. აღნიშნული შემოსულობების 53.1% (108.7 მლნ ლარი) ძირითადი აქტივების რეალიზაციიდანაა მიღებული, 46.9% (96.1 მლნ ლარი) - არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან (მ.შ. 78.3 მლნ ლარი - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოვიდა, 17.7 მლნ ლარი - მიწის რეალიზაციიდან).

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (ძირითადად, გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, 9 თვის გეგმის მიმართ, 26.7%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 250.8 მლნ ლარს შეადგენს (წლიური გეგმის 62.7%), წინა წლის მაჩვენებელს კი 5.3 მლნ ლარით (2.1%-ით) აღემატება.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, 7 თვეში, 1,393.6 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 61.8%-ს (წლიური გეგმის 40.7%-ს) შეადგენს. მ.შ. საგარეო წყაროდან მიღებული სახსრები 501.4 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო საშინაო წყაროდან (სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების რეალიზაციისა და დაფარვის შედეგად) წინდა შემოსულობა - 892.2 მლნ ლარს (9 თვის გეგმის 78.6%).


საგარეო წყაროდან თანხების ძირითად ნაწილს, 427.2 მლნ ლარის ოდენობით, საინვესტიციო კრედიტები წარმოადგენს (9 თვის გეგმის 52.2%), ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით კი, ივლისში, 74.2 მლნ ლარია მიღებული, რაც 9 თვის გეგმის 24.7%-ს შეადგენს.

	7 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	1,393.6	61.8%	40.7%
საშინაო	892.2	78.6%	55.8%
საგარეო	501.4	44.8%	27.5%
საბიუჯეტო კრედიტები	74.2	24.7%	12.4%
საინვესტიციო კრედიტები	427.2	52.2%	34.8%

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2025 წლის იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 15,078.2 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 83.2%-ის ოდენობით, ხარჯებზე მოდის, რომელიც როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში, 2023-2024 წლებთან შედარებით, გაზრდილია. კერძოდ: 2023 წლის იანვარ-ივლისში, ხარჯების წილი გადასახდელებში 79.7%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის იანვარ-ივლისში - 79.1%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2025 წლის იანვარ-ივლისში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 10.0% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 1.3% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 5.4%. 2024 წლის იანვარ-ივლისში, მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 15.0%-ის, 1.0%-ის და 4.9%-ის ოდენობებით, ხოლო, 2023 წლის იანვარ-ივლისში - 13.9%-ის, 1.2%-ის და 5.2%-ის ოდენობებით.


სახელმწიფო ბიუჯეტის 7 თვის გადასახდელების კომპონენტები (მლნ ლარი)



მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში, ხარჯებმა 12,551.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9 თვის გეგმის 77.2% და წლიური გეგმის 57.5%-ია. 9 თვის გეგმასთან მიმართებით, სხვა ხარჯების (82.7%), სოციალური უზრუნველყოფის (79.9%), პროცენტის (79.8%) და სუბსიდიების (77.6%) მუხლები შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა, ხოლო საქონლისა და მომსახურების (66.7%), შრომის ანაზღაურების (72.1%) და გრანტების (74.9%) მუხლები შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება. ხარჯების მოცულობა, 2024 წლის 7 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 1,202.3 მლნ ლარით (10.6%-ით) გაზრდილია, რაც დაკავშირებულია ხარჯების თითქმის ყველა კომპონენტის (გარდა სუბსიდიებისა და საქონლისა და მომსახურებისა) მატებასთან, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი (572.4 მლნ ლარით) ზრდის გავლენით.


პროცენტის მუხლით გაწეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (1,148.8 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართა 733.7 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 415.2 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (5,057.5 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (3,629.1 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (1,024.4 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (310.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2024-2025 წლების 7 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (1,512.7 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 48.1%-ს და წლიური გეგმის 35.5%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (634.5 მლნ ლარი) და თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (138.8 მლნ ლარი) მიიძარს. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა, აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (117.3 მლნ ლარი), განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (99.6 მლნ ლარი), თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (76.1 მლნ ლარი), საზოგადოებრივ წესრიგსა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავებაზე (68.9 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (65.3 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (50.7 მლნ ლარი) და ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (43.2 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (197.6 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 90.0%-ს და წლიური გეგმის 46.6%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები განაწილებულია თავდაცვის სამინისტროზე (87.1 მლნ ლარის ოდენობით), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე (15.2 მლნ ლარის ოდენობით), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (33.2 მლნ ლარის ოდენობით) და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (62.0 მლნ ლარის ოდენობით).



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (816.3 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით ხასიათდება და 9 თვის გეგმის 78.0%-ს და წლიური გეგმის 57.6%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი ნაწილი, 794.3 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	7 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	816.3	78.0%	57.6%
საშინაო	22.1	63.1%	51.4%
საგარეო	794.3	78.5%	57.8%


აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 7 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 6 პროგრამულ კოდს, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება:

- „სახელმწიფო კლინიკების მართვა“ (პროგრამული კოდი - 27 03 05) - 4.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა“ (პროგრამული კოდი - 31 05 22) - 1.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 58 00) - 1.0 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 60 00) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი“ (პროგრამული კოდი - 59 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 28) - 23.0 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, იანვარ-ივლისში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე 1,961.0 მლნ ლარი მიმართა, 9 თვის გეგმის 79.1% და წლიური გეგმის 62.2%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 715.3 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 289.5 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს, 424.8 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 1.0 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე 310.0 მლნ ლარი მიიმართა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ათვისებულ იქნა თანხები, შესაბამისად, 344.0 მლნ ლარის, 19.5 მლნ ლარის და 1.2 მლნ ლარის ოდენობით.

იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 14,064.3 მლნ ლარი შეადგინა (9 თვის გეგმის 72.5% და წლიური გეგმის 53.9%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში:


2025 წლის 7 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 7 თვის გადასახდელებიდან (15,078.2 მლნ ლარი), მხარტავ დაწესებულებებზე 12,008.7 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 3,069.5 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 20.4%). თავის მხრივ, მხარტავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 11,387.1 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 75.5%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 621.6 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარტავ დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 4.1%).

2025 წლის 7 თვეში განწეული გადასახდელების სტრუქტურა (მლნ ლარი)



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის იანვარ-ივლისში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 7 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 7 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	121.0	96.9	65.3	67.4%	54.0%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	947.0	698.4	404.8	58.0%	42.7%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,125.0	2,071.6	1,285.2	62.0%	41.1%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	442.0	317.6	204.2	64.3%	46.2%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	8,820.0	6,609.2	5,098.3	77.1%	57.8%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	215.0	163.8	115.9	70.8%	53.9%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,730.0	1,376.5	992.2	72.1%	57.4%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,395.0	1,051.1	781.2	74.3%	56.0%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808.1	602.7	429.2	71.2%	53.1%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	3,085.0	2,270.6	1,691.5	74.5%	54.8%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	297.6	233.7	134.7	57.6%	45.3%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	298.4	239.0	184.5	77.2%	61.8%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 65.3 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (121.0 მლნ ლარი) 54.0%-ს და 9 თვის გეგმის (96.9 მლნ ლარი) 67.4%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-ივლისში გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი აღემატება 2022-2023 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ხოლო ჩამორჩება 2024 წლის მაჩვენებელს. კერძოდ, 2022 წლის 7 თვის გადასახდელებმა 56.5 მლნ ლარი, 2023 წლის 7 თვის გადასახდელებმა 42.8 მლნ ლარი, ხოლო 2024 წლის 7 თვის გადასახდელებმა 66.0 მლნ ლარი შეადგინა.


მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 404.8 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (947.0 მლნ ლარი) 42.7% და 9 თვის გეგმის (698.4 მლნ ლარი) 58.0%-ია.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (404.8 მლნ ლარი) 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებზე მეტია, ხოლო მცირედით ჩამორჩება 2022 წლის მაჩვენებელს.


2025 წლის იანვარ-ივლისში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 1,285.2 მლნ ლარია ათვისებული, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური მოცულობის (3,125.0 მლნ ლარი) 41.1%-ს და 9 თვის გეგმის (2,071.6 მლნ ლარი) 62.0%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, საანგარიშო პერიოდის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი (1,285.2 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჩამორჩება.


ფინანსთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 7 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



ეკონომიკის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 7 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 7 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 204.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (442.0 მლნ ლარი) 46.2%-ს და 9 თვის გეგმის (317.6 მლნ ლარი) 64.3%-ს უტოლდება.

იუსტიციის სამინისტროს, მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში გადასახდელები (204.2 მლნ ლარი), 2022 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო 2023-2024 წლების მაჩვენებელთან შედარებით - შემცირებული.




2025 წლის იანვარ-ივლისში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების მესამედი (33.8%), 5,098.3 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (8,820.0 მლნ ლარი) 57.8%-ს და 9 თვის გეგმის (6,609.2 მლნ ლარი) 77.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (5,098.3 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.




საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-ივლისში ათვისებული ასიგნებები 115.9 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (215.0 მლნ ლარი) 53.9%-ს და 9 თვის გეგმის (163.8 მლნ ლარი) 70.8%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (115.9 მლნ ლარი), 2022-2024 წლების საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია.




საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 7 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 992.2 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,730.0 მლნ ლარი) 57.4%-ს და 9 თვის გეგმის (1,376.5 მლნ ლარი) 72.1%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-ივლისის გადასახდელები (992.2 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.




საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2025 წლის იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 781.2 მლნ ლარი აითვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,395.0 მლნ ლარი) 56.0%-ს და 9 თვის გეგმის (1,051.1 მლნ ლარი) 74.3%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 7 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (781.2 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 429.2 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (808.1 მლნ ლარი) 53.1%-ს და 9 თვის გეგმის (602.7 მლნ ლარი) 71.2%-ს უტოლდება.


მოცემული სამინისტროს, 2025 წლის 7 თვის გადასახდელები (429.2 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია.



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 7 თვის მაჩვენებელი 1,691.5 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (3,085.0 მლნ ლარი) 54.8%-ს და 9 თვის გეგმის (2,270.6 მლნ ლარი) 74.5%-ს შეადგენს.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (1,691.5 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.

განათლების სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 7 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-ივლისში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 134.7 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (297.6 მლნ ლარი) 45.3%-ს და 9 თვის გეგმის (233.7 მლნ ლარი) 57.6%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 184.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (298.4 მლნ ლარი) 61.8% და 9 თვის გეგმის (239.0 მლნ ლარი) 77.2%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (319.1 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.

კულტურის სამინისტროსა და სპორტის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 7 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



*2025 წლის წლიური მაჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2025 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 7 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა*	2025 წლის 7 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 7 თვის ფაქტთან
შემოსულობები	14,570.7	27,560.8	20,013.1	15,673.5	78.3%	56.9%	7.6%
შემოსავლები	12,634.5	23,434.9	17,332.9	13,824.3	79.8%	59.0%	9.4%
გადასახადები	11,528.9	21,885.0	16,155.0	12,450.1	77.1%	56.9%	8.0%
საშემოსავლო გადასახადი	3,816.3	7,369.0	5,499.0	4,325.9	78.7%	58.7%	13.4%
მოგების გადასახადი	2,032.9	3,070.0	2,385.0	1,723.0	72.2%	56.1%	-15.2%
დღგ	4,273.8	8,136.0	6,024.0	4,478.8	74.3%	55.0%	4.8%
აქციზი	1,441.6	2,650.0	1,933.0	1,399.2	72.4%	52.8%	-2.9%
იმპორტის გადასახადი	81.6	150.0	114.0	83.6	73.4%	55.8%	2.5%
სხვა გადასახადები	-117.2	510.0	200.0	439.6	219.8%	86.2%	-474.9%
გრანტები	185.0	199.9	144.5	136.7	94.6%	68.4%	-26.1%
სხვა შემოსავლები	920.6	1,350.0	1,033.4	1,237.5	119.7%	91.7%	34.4%
არაფინანსური აქტივების კლება	99.4	300.0	228.0	204.8	89.8%	68.3%	106.0%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	245.5	400.0	198.0	250.8	126.7%	62.7%	2.1%
ვალდებულებების ზრდა	1,591.3	3,425.9	2,254.2	1,393.6	61.8%	40.7%	-12.4%
საშინაო	599.3	1,600.0	1,135.4	892.2	78.6%	55.8%	48.9%
საგარეო	992.0	1,825.9	1,118.8	501.4	44.8%	27.5%	-49.5%
გადასახდელები	14,346.0	27,941.7	20,669.1	15,078.2	73.0%	54.0%	5.1%
ხარჯები	11,349.3	21,842.0	16,260.5	12,551.6	77.2%	57.5%	10.6%
შრომის ანაზღაურება	1,436.3	3,035.0	2,261.0	1,629.2	72.1%	53.7%	13.4%
საქონელი და მომსახურება	1,276.1	2,485.3	1,871.2	1,248.3	66.7%	50.2%	-2.2%
პროცენტი	1,013.9	1,745.0	1,440.1	1,148.8	79.8%	65.8%	13.3%
სუბსიდიები	597.1	1,021.6	767.7	595.7	77.6%	58.3%	-0.2%
გრანტები	891.0	1,856.5	1,276.6	956.0	74.9%	51.5%	7.3%
სოციალური უზრუნველყოფა	4,485.1	8,446.3	6,328.5	5,057.5	79.9%	59.9%	12.8%
სხვა ხარჯები	1,649.8	3,252.3	2,315.5	1,916.0	82.7%	58.9%	16.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,145.9	4,258.9	3,142.7	1,512.7	48.1%	35.5%	-29.5%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	141.9	424.1	219.6	197.6	90.0%	46.6%	39.3%
ვალდებულებების კლება	708.8	1,416.7	1,046.3	816.3	78.0%	57.6%	15.2%
საშინაო	24.7	42.9	34.9	22.1	63.1%	51.4%	-10.7%
საგარეო	684.1	1,373.8	1,011.4	794.3	78.5%	57.8%	16.1%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	224.8	-381.0	-656.0	595.3			

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №434)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 7 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 7 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 7 თვის ფაქტთან
შემოსავლები	12,634.5	23,434.9	17,332.9	13,824.3	79.8%	59.0%	9.4%
გადასახადები	11,528.9	21,885.0	16,155.0	12,450.1	77.1%	56.9%	8.0%
გრანტები	185.0	199.9	144.5	136.7	94.6%	68.4%	-26.1%
სხვა შემოსავლები	920.6	1,350.0	1,033.4	1,237.5	119.7%	91.7%	34.4%
ხარჯები	11,349.3	21,842.0	16,260.5	12,551.6	77.2%	57.5%	10.6%
შრომის ანაზღაურება	1,436.3	3,035.0	2,261.0	1,629.2	72.1%	53.7%	13.4%
საქონელი და მომსახურება	1,276.1	2,485.3	1,871.2	1,248.3	66.7%	50.2%	-2.2%
პროცენტი	1,013.9	1,745.0	1,440.1	1,148.8	79.8%	65.8%	13.3%
სუბსიდიები	597.1	1,021.6	767.7	595.7	77.6%	58.3%	-0.2%
გრანტები	891.0	1,856.5	1,276.6	956.0	74.9%	51.5%	7.3%
სოციალური უზრუნველყოფა	4,485.1	8,446.3	6,328.5	5,057.5	79.9%	59.9%	12.8%
სხვა ხარჯები	1,649.8	3,252.3	2,315.5	1,916.0	82.7%	58.9%	16.1%
საოპერაციო სალდო	1,285.1	1,592.9	1,072.4	1,272.7	118.7%	79.9%	-1.0%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,046.5	3,958.9	2,914.7	1,307.9	44.9%	33.0%	-36.1%
ზრდა	2,145.9	4,258.9	3,142.7	1,512.7	48.1%	35.5%	-29.5%
კლება	99.4	300.0	228.0	204.8	89.8%	68.3%	106.0%
მთლიანი სალდო	-761.4	-2,366.0	-1,842.3	-35.2	1.9%	1.5%	-95.4%
ფინანსური აქტივების ცვლილება	121.1	-356.9	-634.4	542.2	-85.5%	-151.9%	347.6%
ზრდა	366.7	424.1	219.6	792.9	361.1%	187.0%	116.3%
ვალუტა და დეპოზიტები	224.8	0.0	0.0	595.3			164.9%
სესხები	140.7	421.7	217.1	110.4	50.9%	26.2%	-21.5%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.2	2.5	2.5	87.1	3556.8%	3556.8%	7322.5%
კლება	245.5	781.0	854.0	250.8	29.4%	32.1%	2.1%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	381.0	656.0	0.0	0.0%	0.0%	
სესხები	245.5	400.0	198.0	250.0	126.2%	62.5%	1.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.8			
გალდებულებების ცვლილება	882.5	2,009.1	1,207.8	577.3	47.8%	28.7%	-34.6%
ზრდა	1,591.3	3,425.9	2,254.2	1,393.6	61.8%	40.7%	-12.4%
საშინაო	599.3	1,600.0	1,135.4	892.2	78.6%	55.8%	48.9%
საგარეო	992.0	1,825.9	1,118.8	501.4	44.8%	27.5%	-49.5%
კლება	708.8	1,416.7	1,046.3	816.3	78.0%	57.6%	15.2%
საშინაო	24.7	42.9	34.9	22.1	63.1%	51.4%	-10.7%
საგარეო	684.1	1,373.8	1,011.4	794.3	78.5%	57.8%	16.1%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0			

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 7 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
00 00	სულ ჯამი	27,941.7	20,669.1	15,078.2	73.0%	54.0%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	109.3	81.4	47.6	58.5%	43.5%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	91.5	68.1	39.1	57.5%	42.8%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და სახედასხედველო საქმიანობა	38.4	28.2	13.4	47.6%	34.9%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და პარლამენტის წევრების საქმიანობა	11.0	8.2	5.1	61.4%	46.1%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	42.2	31.7	20.7	65.3%	49.0%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	42.1	31.7	20.7	65.3%	49.1%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.0	0.0	0.0%	0.0%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	15.6	11.7	7.7	65.3%	49.0%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.6	0.3	54.6%	41.9%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.4	1.1	0.5	45.7%	34.6%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10.0	7.8	3.0	38.2%	29.9%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	1.0	0.7	0.5	68.3%	51.2%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	29.0	23.1	12.5	54.3%	43.2%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	25.3	20.5	14.0	68.6%	55.5%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	129.1	87.4	33.7	38.6%	26.1%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	33.3	25.9	17.4	67.4%	52.4%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.3	1.9	1.5	75.9%	63.2%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	10.2	5.7	56.2%	45.0%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	80.8	49.4	9.1	18.3%	11.2%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6.8	5.1	3.2	62.2%	47.0%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	20.8	15.8	10.4	66.1%	50.1%
09 00	საერთო სასამართლოები	164.5	124.8	69.5	55.7%	42.3%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	160.0	121.2	68.5	56.5%	42.8%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.5	3.5	1.0	27.7%	21.8%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	12.6	10.8	3.7	34.6%	29.7%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.5	1.1	0.7	65.5%	49.1%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.6	63.9%	48.8%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სანჯერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.5	1.1	0.7	66.2%	51.7%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.9	0.7	72.0%	54.7%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.5	61.6%	46.4%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.7	73.3%	55.6%

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 7 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.6	70.3%	52.9%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	1.2	0.7	61.7%	48.0%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.6	63.4%	48.5%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	226.0	175.1	114.9	65.6%	50.8%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	174.0	133.2	92.3	69.3%	53.0%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	48.4	38.9	20.7	53.2%	42.8%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	3.6	3.1	1.9	60.2%	51.4%
21 00	საქართველოს პროკურატურა	70.8	52.9	38.5	72.8%	54.5%
